საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №38
2024 წლის 5 თებერვალი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 73^2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ქვეპუნქტი:

„ზ) უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხა, თუ პირს აღნიშნული თანხის დადგენილი წესით ჩათვლის უფლება წარმოექმნება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, ჩათვლა არ ხორციელდება იმ გაანგარიშების მიხედვით, რომელშიც ასახული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების კალენდარული წლის დასრულებიდან გასულია 3 წელი.“.

2. დანართი №III-25 - ის:

ა) დანართი „ა“-ს ნაწილი III ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნაწილი III

დღგ-ის ჩასათვლელი თანხა

№	ოპერაციის შინაარსი	ჯამი (სვეტი 4 + სვეტი 5)	საქონელზე /მომსახურებაზე გადახდილი დღგ (მე-5 სვეტის გარდა)	ძირითად საშუალებებზე გადახდილი დღგ-ის თანხა
1	2	3	4	5
1	საქართველოს ტერიტორიაზე სხვა დასაბეგრი პირისგან საქონლის/მომსახურების შეძენისთვის გადახდილი/გადასახდელი დღგ			
2	საქონლის იმპორტისას გადახდილი/გადასახდელი დღგ			
3	საგადასახადო/საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დარიცხული დღგ			
4	დღგ, დარიცხული უკუდაბეგვრის წესით			
4^1	უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ			

5	ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ ძირითადი საშუალებების საკუთარ მფლობელობაში დატოვების ან დღგ-ის გადამხდელის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში, ნაშთად არსებულ ძირითად საშუალებასთან მიმართებაში, ამ ოპერაციებთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული წესის შესაბამისად			
6	საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენების შემთხვევაში დარიცხული (გადასახდელი) დღგ-ის ჩასათვლელი თანხა			
6^1	საკუთარი ძალებით განხორციელებული ძირითადი საშუალების (შენობის/ნაგებობის)რემონტის შემთხვევაში დარიცხული (გადასახდელი) დღგ-ის ჩასათვლელი თანხა			
7	დღგ, დარიცხული საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შემთხვევაში			
8	დღგ, გადახდილი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161^1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში			
9	სულ			

“;

ბ) დანართი „ბ“-ს IX ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის X ნაწილი:

„ნაწილი X

№	უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას		
	გაანგარიშების სარეგისტრაციო ნომერი	საანგარიშო პერიოდი	დღგ-ის თანხა
1	2	3	4

“.

3. 75-ე მუხლის:

ა) 3^5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^5. დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ა“-ს III ნაწილის მე-3 გრაფის მონაცემი არ უნდა იყოს დეკლარაციის დანართი „ბ“-ს VII ნაწილით, 4^1 გრაფა – დანართი „ბ“-ს X ნაწილით, მე-7 გრაფა –

დანართ „ბ“-ს V ნაწილით და მე-8 გრაფა – დანართი „ბ“-ს IV ნაწილით დეკლარირებულ დღგ-ის თანხაზე მეტი. დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ა“-ს III ნაწილის მე-5 გრაფის მონაცემები არ უნდა იყოს დეკლარაციის დანართი „ა“-ს I ნაწილის 7^1 გრაფით დეკლარირებულ დღგ-ის თანხაზე მეტი. დანართი „ა“-ს III ნაწილის მე-6 და 6^1 გრაფები ივსება მხოლოდ საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის დეკლარაციაში.“;

ბ) 7^6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^7 პუნქტი:

„7^7. დეკლარაციის „ბ“ დანართის X ნაწილი ივსება იმ შემთხვევაში, თუ პირს უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხის დადგენილი წესით ჩათვლის უფლება წარმოექმნება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, დეკლარაციის „ბ“ დანართის X ნაწილის მე-4 სვეტში ასახული დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არ უნდა იყოს უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებაში ასახული დღგ-ის თანხაზე მეტი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ლაშა ხუციშვილი**